# Global Beer Georgia

| | |
|---|---|
| **ქვეყანა:** | საქართველო |
| **პროექტის ნომერი:** | 48332 |
| **ბიზნეს სექტორი:** | აგრობიზნესი |
| **განაცხადის ტიპი:** | კერძო |
| **გარემოსდაცვითი კატეგორია** | გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების პირველადი ექსპერტიზა |
| **საბჭოზე გატანის თარიღი:** | 20 ივლისი, 2016 |
| **სტატუსი:** | გაიარა კონცეფციის განხილვის ეტაპი, ექვემდებარება სტრუქტურულ განხილვას |
| **ინგლისური ვერსიის გამოქვეყნების თარიღი:** | 14.06.2016 |

## პროექტის აღწერა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ევრობანკი) განიხილავს 18,5 მილიონ ევრომდე სინდიცირებულ გრძელვადიან სასესხო პაკეტს შპს Global Beer Georgia-სთვის. Global Beer Georgia საქართველოში რეგისტრირებული კომპანიაა, რომელიც ქართული ღვინის მწარმოებელმა და სასმელების დისტრუბუტორმა სს თელიანმა ველმა დაარსა საქართველოში ლუდის ახალი საწარმოს მშენებლობისა და მართვის მიზნით.

## პროექტის მიზნები

სესხის თანხა საქართველოში ლუდის ახალი ქარხნის მშენებლობის დაფინანსებას მოხმარდება.

## ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

პროექტის გავლენა ეკონომიკურ გარდაქმნაზე შემდეგი ფაქტორებიდან გამომდინარეობს:

1) ახალი პროდუქტებისა და პროცესების წარმოდგენა - ლუდის ახალი ქარხნის დაარსება მომხმარებლისთვის პროდუქციის არჩევანს გააფართოებს, რაც, დიდი ალბათობით, ლუდის სექტორში კონკურენციას გაზრდის. შედეგად გაუმჯობესდება ფასისა და ხარისხის ბალანსი და რესურსების ეფექტურად გამოყენების მაჩვენებლები.

2) ახალი სტანდარტების დაწესება - ლუდის ქარხნის მშენებლობა და აღჭურვა იგეგმება მოწინავე, ჩვეულ საბაზრო სტანდარტებზე მაღლა მდგომი ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებით, რამაც საგრძნობლად უნდა დაზოგოს ენერგიის მოხმარება.

# ინფორმაცია კლიენტის შესახებ

შპს Global Beer Georgia

Global Beer Georgia თელიანი ველის შვილობილი კომპანიაა, რომელიც საქართველოში ლუდის ახალი ქარხნის პროექტის განხორციელების მიზნით არის შექმნილი. სააქციო საზოგადოება თელიანი ველის აქციები საქართველოს საფონდო ბირჟაზე ივაჭრება და ის ერთ-ერთი წამყვანი ღვინის მწარმოებელი და სასმელი პროდუქტების დისტრიბუტორი კომპანიაა საქართველოში.

# ევრობანკის დაფინანსების მოკლე აღწერა

6,170,000.00 ევრო
დაფინანსება შედგება 18,5 მილიონ ევრომდე ოდენობის სასესხო პაკეტისაგან: 6.17 მილიონ ევრომდე მოცულობის „A“ ტრანში ევრობანკის პირადი ანგარიშისთვის; 6.17 მილიონ ევრომდე მოცულობის „B“ ტრანში მონაწილე ბანკისთვის; და პარალელური სესხი 6.16 მილიონი ევროს მოცულობით.

# პროექტის ჯამური ღირებულება

37,000,000.00 ევრო.

# გარემოსდაცვითა და სოციალური ასპექტების მოკლე მიმოხილვა

პროექტს მინიჭებული აქვს ბ კატეგორია (2014 გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა (ESP)). პროექტისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი თავდაპირველად სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა იყო. ლუდის ქარხნის მშენებლობის მიზნით Global Beer Georgia-მ შეიტანა განაცხადი მიწის დანიშნულების ცვლილების მოთხოვნით. მიწის სამუშაოები უკვე დაწყებულია თუმცა, მშენებლობის პროცესი ჯერ არ დაწყებულა. სამომავლო ქარხნის ტერიტორიის ახლოს არის უკვე არსებული ლუდის ქარხანა, საკონდიტრო ქარხანა, წყლის ჩამომსხმელი კომპანია და უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი კომპანია. ქარხანა შენდება წილკანის ლტოლვილთა დასახლების გვერდით, დაახლოებით ერთ კილომეტრში სოფელ ახალუბნიდან და 3-4 კილომეტრში წეროვანის ლტოლვილთა დასახლებიდან. პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შეფასება უკვე დაევალა დამოუკიდებელ მესამე მხარეს, რომელიც შეამოწმებს არამხოლოდ პროექტის მოსალოდნელ გარემოსდაცვით და სოციალურ შედეგებს, არამედ კლიენტის შესაძლებლობასაც დააკმაყოფილოს ბანკის შესაბამისი მოთხოვნები. გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სამოქმედო გეგმა მომზადდება გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების სიღრმისეული ანალიზის დასრულების შემდეგ, უშუალოდ პროექტის მიმდინარეობის პროცესში დასანერგად. პროექტის შემაჯამებელი დოკუმენტის ეს ნაწილი გადაიხედება ხსენებული სიღრმისეული ანალიზის მომზადების შემდეგ.

## ტექნიკური თანამშრომლობა

შესაბამისი კლიმატური ტექნოლოგიების დანერგვისა და ბანკის დასტურის შემთხვევაში, პროექტმა შესაძლოა მიიღოს დამატებითი საგრანტო დაფინანსება ევრობანკის FINTECC (კლიმატური ცვლილებების საკითხებისთვის ფინანსებისა და ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი) პროგრამის ფარგლებში.

## კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

კობა ჭანტურია,
k.chanturia@globalbeergeorgia.com
+995 32 231 32 45
+995 32 231 32 49
www.globalbeergeorgia.com
ა. ისაკიანის ჩიხი; თბილისი, 0172, საქართველო;

## ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე გთხოვთ, დაუკავშირდეთ კომპანიას.

## ზოგადი საკითხები

ევრობანკის პროექტებთან დაკავშირებულ შეკითხვებზე, რომლებიც არ შეეხება შესყიდვებს, გთხოვთ, მიმართოთ:

ტელ: +44 20 7338 7168; ფაქსი: +44 20 7338 7380
ელ-ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

## ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკა (PIP)

ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ევრობანკის მიერ ინფორმაციის გავრცელებისა და აქციონერებთან კონსულტაციების ისეთი გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს ევრობანკის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრებას.

ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკის დოკუმენტის ტექსტი

## პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)

ევრობანკმა შეიმუშავა პროექტის გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკური პირებისა თუ ორგანიზაციების საჩივრების დამოუკიდებელი განხილვის შესაძლებლობას. საჩივრები უნდა ეხებოდეს ევრობანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებს, რომლებმაც გამოიწვიეს ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი.

პროექტის გასაჩივრების მექანიზმის წესები

პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში, ნებისმიერი საჩივარი შეტანილ უნდა იქნას ევრობანკის მხრიდან თანხის უკანასკნელი გადმორიცხვიდან არაუგვიანეს 12 თვის ვადაში. თუკი გეეჭვებათ საჩივრის შეტანისთვის გამოყოფილი პერიოდი, დასაზუსტებლად შეგიძლიათ მიმართოთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ოფიცერს ან ევრობანკის შესაბამის ადგილობრივ წარმომადგენლობას.